# შეთანხმების აქტი

(შპს „ვილასეტი“–სა და მოქალაქეებს შორის)

ქ. თბილისი 16 აპრილი 2015 წელი

წინამდებარე შეთანხმების მხარეები ერთის მხრივ შპს „ვილასეტი“ (საიდენტიფიკაციო #200258577)(შემდგომში „კომპანია“)წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ ტალახაძის სახით და მეორეს მხრივ მოქალაქეები გიორგი ოთარაშვილი (პ/ნ 01006013844), ზესიკ ქუცნიაშვილი (პ/ნ 31001027351), იოსებ ქუცნიაშვილი (პ/ნ 31001032132), ნუგზარ ქუცნიაშვილი (პ/ნ 31001024617), ნინო ბუღაძე (პ/ნ 01012001250), ნანული ბართაია (პ/ნ 01024075094), აკაკი თავაძე (პ/ნ 01008006393), ხატია ლეჟავა (პ/ნ 37001011240), თამარ კოპაძე (პ/ნ 54001003266), რუსლან სამსიანი (პ/ნ 62007010661), ნინო ვეზდენი (პ/ნ 60001000452), ეკა დუშუაშვილი (პ/ნ 01031000813), ივანე ბჟალავა (პ/ნ 01026004365), ოლეგ ქოიავა (პ/ნ 01030016578), კახა ჭოხონელიძე (პ/ნ 01006006638), ნინო ბოგვერაძე (პ/ნ 01019005566), მზაღავე მაჭარაშვილი (პ/ნ 57001006295), დარეჯან კასრელიშვილი (პ/ნ 01009014315), (შემდგომში „მოქალაქეები“) (ერთობლივად „მხარეები“)ვმოქმედებთ რა ნების თავისუფალი გამოვლენისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. წინამდებარე შეთანხმების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისი, სოფ. დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.72.14.036.647) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან ან (საფუძველი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 სექტემბრის #1480509 ბრძანება არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე) დაკავშირებული რიგი საკითხები, კერძოდ:

1.2. მენაშენე მხარისათვის ცნობილია, რომ მოქალაქეების სარჩელის საფუძველზე დავა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, სადაც მოქალაქეთა მოთხოვნას წარმოადგენს ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივნისის #1304519 გადაწყვეტილება ქ. თბილისში, სოფ. დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.72.14.036.647) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე აქტის და არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისთაობაზე სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 სექტემბრის #1480509 ბრძანების ბათილად ცნობა.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების აქტით გათვალისწინებული პირობების სრულყოფილად და განუსრელად შესრულების შემთვევაში ერთმანეთის მიმართ სამომავლოთ არანაირი პრეტენზია აღარ ექნებათ.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „კომპანია" ვალდებულია:

2.1.1. შეიტანოს ცვლილება სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წლის 16 სექტემბრის #1480509 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში წინამდებარე მორიგების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

2.1.2. პროექტში ცვლილებების განხორციელებისას გაითვალისწინოს და დაიცვას პირობა იმის თაობაზე, რომ შენობა–ნაგებობის სართულიანობა 0–0 ნიშნულიდან ზემოთ არ აღემატება 5 სართულს + მანსარდი და კონსტრუქციული სიმაღლე 0–0 ნიშნულის ზემოთ არ აღემატება 20 (ოცი) მეტრს.

2.1.3. არ შეცვალოს შეთანხმებული პროექტით განსაზღვრული გენ–გეგმა (განსაკუთრებით შენობის განთავსება საკადასტრო საზღვრებთან მიმართებაში).

2.1.4. კორექტირებული არქიტექტურული პროექტით ავტოსადგომების რაოდენობა

უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ ნორმებს.

2.1.5.კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად დაიცვას სამეზობლო და საზოგადოებრივი მიწის ზონები სიმაღლეების განაზღვრის, ღიობების, ტერასების და ა.შ.განთავსების მხრივ.

2.1.6. საღამოს19:00 საათიდან დილის 9:00 საათამდე არ აწარმოონ ხმაურის გამომწვევი სამშენებლო სამუშაოები.

2.2. „მოქალაქეები" ვალდებულნი არიან:

2.2.1. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილ ორგანოში (სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური) პროექტის კორექტირების შემდეგ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა გამოიხმონ სარჩელი სასამართლოდან და სხვა უწყებებში შეწყვიტონ საქმისწარმოება რომელიც შემხებლობაშია საპროექტო ობიექტთან.

2.2.2. ხელი არ შეუშალონ კომპანიას წინამდებარე შეთანხმებით ვათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის განხორციელებას.

2.2.3. 2.2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მოქალაქეები პასუხს აგებენ კომპანიის წინაშე და ვალდებულნი არიან აანაზღაურონ მიყენებული ზიანი სრული მოცულობით.

3. შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა

3.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება შეთანხმების პირობებში არდაიშვება მხარეების მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

3.2.თუ რაიმე წინასწარგაუთვალისწინებელი მიზეზებისგამო წარმოიშობა შეთანხმების პირობების შეცვლისა აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

3.3. შეთანხმების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილად.

4. უფლებების და ვალდებულებების გადასვლა

4.1.მესამე პირზე ნივთის გასხვისების შემთხვევაში კომპანია ვალდებულია საქმის კურსში ჩააყენოს შემძენი და მასთან დადებულ ხელშეკრულებაში ასახოს მოქალაქეებთან დადებული წინამდებარე შეთანხმების პირობები და გადასცეს მესამე პირს მოცემული შეთანხმებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. შეთანხმების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე შეთანხმების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, წინამდებარე შეთანხმებით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების და წესის შესაბამისად.

6. სადავო საკითხების გადაწყვეტა

6.1.„კომპანია“ და „მოქალაქეებმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაფორმალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება

და დავა, წარმოქმნილი მათშორის შეთანხმების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7. შეთანხმების მოქმედების ვადა

7.1. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე შეთანხმებით მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და განუხრელად შესრულებამდე.

შეთანხმება შესრულებულია და ხელმოწერილია 19 ეგზემპლარად რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცა შეთანხმების მონაწილე მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები

„კომპანია“

შპს „ვილასეტი“

ს/კ:#200258577

დირექტორი: მერაბ ტალახაძე

მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი

„მოქალაქეები“

გიორგი ოთარაშვილი (პირადინომერი N01006013844; პ/მN;)

ზესიკ ქუცნაშვილი (პირადინომერი 31001027351; პ/მN; )

_____

იოსებ ქუცნიაშვილი (პირადინომერი 31001032132; პ/მN; )

ი. ქუცნიაშვილი

ნუგზარ ქუცნიაშვილი (პირადინომერი 31001024617; პ/მN; )

ნ. ქუცნიაშვილი

ნინო ბუღაძე (პირადინომერი 01012001250; პ/მN; )

ნ. ბუღაძე

ნანული ბართაია (პირადინომერი 01024075094; პ/მN; )

ნ. ბართაია

აკაკი თავაძე (პირადინომერი 01008006398; პ/მN; )

ა. თავაძე

ხატია ლეჟავა (პირადინომერი 37001011240; პ/მN; )

ხ. ლეჟავა

თამარ კოპაძე (პირადი ნომერი 54001003266; პ/მN; )

_____

რუსლან სამსიანი (პირადი ნომერი 62007010661; პ/მN; )

_____

ნინო ვეზდენი (პირადი ნომერი 30001000452; პ/მN; )

_____

უჩა დუშუაშვილი (პირადი ნომერი 01031000813; პ/მN; )

_____

ივანე ბჟალავა (პირადი ნომერი 01026004365; პ/მN; )

_____

ოლეგ ქოიავა (პირადი ნომერი 010300165781; პ/მN; )

_____

კახა ჭოხონელიძე (პირადინომერი 01006006638; პ/მN; )

ნინო ზოგვერაძე (პირადინომერი 01019005566; პ/მN; )

მზაღავე მაჭარაშვილი (პირადინომერი 57001006295; პ/მN; )

დარეჯან კასრელიშვილი (პირადინომერი 01009014315; პ/მN; )